

ქართველ მოღვაწეთა დამოკიდებულება აფხაზური ენის სწავლებისა და ფუნქციონირების საკითხებისადმი (XIX საუკუნის II ნახევარში)

ანა ბაქანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია XIX საუკუნის ქართველ მოღვაწეთა დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი. დღესდღეისობით ამ ენის ფუნქციონირების არეალი მეტად დავიწროვდა, მოხდა მისი რუსული ენით ჩანაცვლება. ამიტომ აფხაზური ენის შენარჩუნებისთვის ბრძოლა ქართული სახელმწიფოებრიობის აქტუალური პრობლემაა. სამწუხაროდ ამ საკითხის შესახებ ფუნდამენტური კვლევა არ არსებობს. მისი შესწავლა აუცილებელ პერსპექტივად გვესახება.

საკვანძო სიტყვები: ენა, პრობლემა, სწავლება

ენა ერის თვითმყოფადობის უპირველესი გამოვლინებაა და როცა ერს ენას ართმევენ, ეს ნიშნავს, რომ ის კარგავს საკუთარი იდენტობის გაცნობიერების საშუალებას. დღეს გადაშენების საფრთხის წინაშე არაერთი კავკასიური ენა დგას, მათ შორისაა აფხაზურიც. ისედაც მცირე ფუნქციონირების არეალი, რომელიც აფხაზურს აქვს, რუსული ენის შემოტევების გამო კიდევ უფრო ვიწროვდება.

აფხაზური ენის წინააღმდეგ მიზანმიმართული რუსული შოვინისტური პოლიტიკა ძირითადად XIX საუკუნიდან იღებს სათავეს. ისტორიულ თუ თანამედროვე ვითარებათა გათვალისწინებით, საინტერესოა როგორი იყო XIX საუკუნის ქართველ საერო თუ სასულიერო მოღვაწეთა დამოკიდებულება აფხაზური ენის ფუნქციონირების საკითხისადმი. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით ამ ეპოქის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა შეხედულებანი მათ ბიოგრაფიებსა და ნაშრომებშია სამიუბელი და ჯერჯერობით ეს საკითხი კომპლექსურად არ არის შესწავლილი.

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ სასულიერო პირთა მოღვაწეობა, რომელთაც უმძიმეს პერიოდში ებარათ აფხაზეთის ეპარქია.

ალექსანდრე ოქროპირიძეს სასულიერო ხელისუფლება აფხაზეთში სამოღვაწეოდ ამზადებდა. 1851 წლის 15 აპრილს ის ჯერ კიდევ არარსებული აფხაზეთის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად და ადგილობრივი ეპისკოპოსის კრებულში მღვდელმონაზონად დანიშნეს. სასულიერო სასწავლებლის გახსნამდე „საკუთარი ხარჯებით აწყობს ილორში მოსამზადებელ საცდელ სკოლას და თვითვე ასწავლის ბავშვებს მომავალი სასწავლებლის პროგრამით“ (1.22).

აფხაზეთის სასულიერო სასწავლებელში სხვა საგნების სწავლებასთან ერთად მიმდინარეობდა ინტენსიური პრაქტიკული მეცადინეობები აფხაზურ ენაში. ამ მეცადინეობებში სავალდებულო იყო არა მხოლოდ ეთნიკურად აფხაზი, არამედ ქართველი მოსწავლეების ჩართვაც, რადგან ეს ბავშვები მომავალი სასულიერო თუ საერო მოღვაწეები უნდა გამხდარიყვნენ, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოღვაწე ნებისმიერი ადამიანისთვის კი, ალექსანდრე ოქროპირიძის აზრით,

უმნიშვნელოვანესი გახლდათ როგორც ქართული, ისე აფხაზური ენების სრულყოფილად ცოდნა.

სწორედ ეპისკოპოს ალექსანდრეს მმართველობის პერიოდში გამოჩნდნენ პირველი ეთნიკურად აფხაზი სასულიერო პირები, მათ შორის ყველაზე გამორჩეული იყო ლიხნის მკვიდრი ივანე გეგია. ქართული და აფხაზური ენების ბრწყინვალე მცოდნე. ის გახლდათ ლიხნის ტაძრის მღვდელი და იმ კომისიის წევრი, რომელმაც აფხაზური ანბანი შექმნა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი დოკუმენტის თანახმად (1.146) ცნობილი ხდება, რომ ეპისკოპოსი ეგზარქოსისაგან მოითხოვდა მღვდელ ივანე გეგიას დანიშვნას სასულიერო სასწავლებელში აფხაზური ენის მასწავლებლად. ამრიგად, ეპისკოპოსი მხოლოდ აფხაზური ენის სწავლებას არ უწყობდა ხელს, იმ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა, რომლებმაც კარგად იცოდნენ ეს ენა. რადგან, ეს ფაქტი, მისი აზრით, წარმატებული მუშაობის საწინდარი უნდა გამხდარიყო.

ეპისკოპოსი მარტო პატივს კი არ სცემდა აფხაზ ხალხს, აფხაზურ ენასა და კულტურას, არამედ თავადაც ცდილობდა მეტის გაგებასა და შესწავლას მათ შესახებ. მაგალითად, მისი ამაღლისთვის სახლის აშენებას მთავრის სასახლესთან ახლოს ითხოვდა, იმ არგუმენტით, რომ ამ შემთხვევაში უკეთ გაიცნობდა აფხაზებს, მათ ზნე-ჩვეულებებს, შეისწავლიდა ენას, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო მისიონერისათვის (2.442). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თავად იცოდა თუ არა სრულყოფილად აფხაზური ენა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ დოკუმენტში (1.104), სადაც საუბრობს ქართული ენის აღორძინების, განვრცობისა და განმტკიცების შესახებ, ჩანაწერების საერთო სათაურად გამოაქვს აფხაზური სიტყვა „ჟვაბზეი _ ამბავი“, ხოლო დოკუმენტის ბოლოში მიწერილი აქვს კვლავ აფხაზური სიტყვა „აფსთეი _ დავიღალე“.

ალექსანდრე ოქროპირიძემ წერილობით ჩამოაყალიბა „მოსაზრება აფხაზეთში ქრისტიანობის განვითარების შემაფერხებელი მიზეზების შესახებ“ და პირველ ხელისშემშლელ ფაქტორად აფხაზური დამწერლობისა და, შესაბამისად, ამ ენაზე ლიტერატურის არარსებობა მიუთითა. მისი აზრით, მნიშვნელოვანი იყო აფხაზური ენის შესწავლა და შენარჩუნება, ამ ენაზე ლიტერატურის შექმნა. ამ აზრს XIX საუკუნეში მოღვაწე არაერთი სხვა ქართველი იზიარებდა.

ალექსანდრე ოქროპირიძის მსგავსად, სასულიერო თუ საერო სფეროში აფხაზური ენის ინტენსიური ფუნქციონირების ერთ-ერთი მომხრე იყო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი, რომელსაც აფხაზეთის ეპარქია ოფიციალურად 1869 წლის მაისში დაექვემდებარა მას შემდეგ, რაც აფხაზეთის ეპისკოპოსი ალექსანდრე ქართლ-კახეთის ქორეპისკოპოსად დაინიშნა. მეუფეს შესანიშნავად ესმოდა, რომ მისიონერული საქმიანობის წარმატებისთვის ღვთისმსახურების ენას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი აზრით, მრევლის ენისა და ზნე-ჩვეულებების ცოდნა მისიონერისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სპეციალური სასულიერო განათლება. აფხაზურის ცოდნას მეუფე სავალდებულოდ მიიჩნევდა არა მარტო საკუთრივ აფხაზი ან ქართველი მოღვაწეებისთვის, არამედ რუსებისთვისაც.

მეუფე ღვთისმსახურებას ქართულ ან რუსულ ენაზე ატარებდა. ეს იმაზე იყო დამოკიდებული, თარჯიმანი რომელ ენას ფლობდა უკეთ, რუსულს თუ ქართულს, რათა აფხაზური თარგმანი სრულყოფილი გამოსულიყო. ეპისკოპოსის ქადაგებებს ძირითადად ივანე გეგია თარგმნიდა, თუმცა ცნობილია სხვა

თარჯიმნებიც: სიმონ ეშბა, რომელიც მეცნიერ ჯემალ გამახარიას ვარაუდით, 1868 წლის 15 მაისს ბიჭვინთაში პირველად ჩაბრძანებული მეუფის სიტყვებს თარგმნიდა, გრიგოლ შერვაშიძე - მისი დახმარებით სწირა გაბრიელმა მოქვის ტაძარში 1879 წლის 20-21 მაისს, შესანიშნავად თარჯიმნობდა კესარია დადიანიც, რომელსაც ეპისკოპოსმა სთხოვა მღვდელ ი. გეგიასთან და დეკანოზ დ. მაჭავარიანთან ერთად შეედგინა კომიტეტი და პირველდაწყებითი ლოცვების, მრწამსის, ათი მცნების, ასევე ლიტურგიისა და საკვირაო ბიბლიის მონაკვეთები ეთარგმნათ აფხაზურად. რა მუშაობა ჩაატარა ამ ჯგუფმა უცნობია, ფაქტი ისაა, რომ ეპისკოპოსი უმთავრესი კურთხევების თარგმნასაც კი ითხოვდა.

რუსული ადმინისტრაცია აფხაზურ ენას პირველ ეტაპზე რეგიონიდან ქართული ენის განდევნის საშუალებად განიხილავდა, როცა მიხვდნენ, რომ აფხაზური ვერ დაჩრდილავდა ქართულს, გეზი აფხაზური კადრების რუსულ სასწავლებელში მომზადებაზე აიღეს. აფხაზური ენა დროებით დავიწყებას მისცეს. ამ გარემოებამ შეუშალა ხელი ეპისკოპოს გაბრიელს სისრულეში მოეყვანა საკუთარი გეგმები ამ ენასთან დაკავშირებით.

მნიშვნელოვანია საღვთისმსახურო ენისადმი ეპისკოპოს კირიონის დამოკიდებულება. მისი ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ ქართველებს, რუსებსა და ბერძნებს - საკუთარ ენაზე ღვთისმსახურების შესაძლებლობა შეუქმნა. ასეთი შესაძლებლობა აფხაზებსაც რომ ჰქონოდათ, კირიონმა ჩამოაყალიბა საეკლესიო ლიტერატურის აფხაზურ ენაზე მთარგმნელი კომისია, ეს ფაქტი აღნიშნული აქვს ი. გოგებაშვილს: „უსამღვდელოესი კირიონი დიდად თანაუგრძნობდა აფხაზური დამწერლობისა და ლიტერატურის შექმნას. მან მოითხოვა მონაწილეობა მიმელო აფხაზური ენის ნაციონალური სახელმძღვანელოს შედგენაში” (3.134).

იმასვე წერდა ნ. ჯანაშია. მისი აზრით, ეპისკოპოსს არ დააცალეს საქმის ბოლომდე მიყვანა. არადა მან მოკლე დროში ჩამოაყალიბა მთარგმნელობითი კომისია, მოიწვია მისი ორი ყრილობა..

კირიონი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საკადრო პოლიტიკას, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეროვნებით აფხაზს ან აფხაზურენოვან ქართველს ეხებოდა. შესაბამის გადაწყვეტილებას აფხაზ ინტელიგენციასთან მოთათბირებისა და აფხაზური კომისიის დასკვნის საფუძველზე იღებდა. ეს კომისია კანდიდატის აფხაზური ენის ცოდნის დონეს ამოწმებდა. ამგვარი მუშაობის შედეგად, ქართველი მღვდლების დიდი ნაწილი მშვენივრად ფლობდა აფხაზურ ენას. მიუხედავად ამისა, 1887 წელს რელიგიური განათლებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორებად კავკასიაში მართლმადიდებლობის აღმდგენი კომისიის ანგარიშის თანახმად, აფხაზური ენის მცოდნე მღვდლების ნაკლებობა დასახელდა. ამ დროს ქართველი მღვდლების უმრავლესობამ კარგად იცოდა აფხაზური ენა, მაგრამ ხელისუფლებას მათი შეცვლა ჰქონდა განზრახული.

ამრიგად, XIX ს.-ის მეორე ნახევარში ქართველი სასულიერო მოღვაწეები ცდილობდნენ აფხაზური ენის განვითარებას ორი მიმართულებით: მოითხოვდნენ სასწავლებლებში მათ სწავლებას, ხელს უწყობდნენ ენის შემსწავლელი კომისიების შექმნას და ამ ენაზე ლიტერატურის თარგმნას, და მეორე: ღვთისმსახურებას აფხაზურ ენაზე ადავლენდნენ, ხელს უწყობდნენ ისეთ სასულიერო პირთა დაწინაურებას, რომლებმაც იცოდნენ აფხაზური. ეს მაშინ, როცა მეტწილად რუსი

მოხელეებით დაკომპლექტებული მართლმადიდებლობის აღმდგენი საზოგადოების საბჭომ 1868 წელს აფხაზური „ჩვილ და განუვითარებელ“ ენად გამოაცხადა. ასევე იმ „აფხაზურ“ ანბანს მიანიჭა უპირატესობა, რომელიც რუსული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა და უარყო ქართული ანბანი, რომელიც უფრო მისადაგება აფხაზური ენის ურთულეს ფონემატურ სისტემას.

საინტერესოა აფხაზური ენისადმი საერო პირთა დამოკიდებულება. თუ მწერალი ან მეცნიერი ნამდვილად პატრიოტია თავისი ენისა და კულტურისა ის არ შეიძლება გულგრილად შეჰყურებდეს სხვა ერის კულტურისა და ისტორიის განადგურებას. ამ პოზიციას განსაკუთრებით აქტიურად იცავდა იაკობ გოგებაშვილი. იაკობს ქართველი და აფხაზი ხალხების ურთიერთმეგობრობის განმტკიცებისათვის საჭიროდ მიაჩნდა აფხაზების მიერ საკუთარი ერის ისტორიის საფუძვლიანად შესწავლა, აფხაზი ხალხის კულტურული განვითარებისთვის კი მნიშვნელოვნად აფხაზურ ენაზე წიგნების გამოცემას მიიჩნევდა.

იაკობი მოუწოდებდა სოხუმის ქართველ და ეთნიკურად აფხაზ მოსახლეობას შეერთებული ძალით შეექმნათ აფხაზური დედა-ენა და თავის მხრივ დახმარებასაც ჰპირდებოდა: „თუ ადგილობრივ ვერ შეძლებენ ამ წიგნების დაბეჭდვას, გამოუგზავნონ თბილისში „წერა-კითხვის საზოგადოებას“ და იგი სიამოვნებით გამოსცემს თავისი ხარჯით“ (3.174). დიდი ქართველი პედაგოგი ილაშქრებდა იმ მოსაზრების წინააღმდეგ, თითქოს პირველდაწყებითი ელემენტარული სწავლების წარმოება აფხაზურ ენაზე შეუძლებელი იყო. მისი აზრით, არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი ადამიანური ენა, რომელზედაც არ მოხერხდება პირველდაწყებითი სწავლების მოგვარება. ამიტომაც უჭერდა მხარს ასე კატეგორიულად აფხაზურ ენაზე დამწერლობისა და ღვთისმსახურების შემოღებას. „მართალია, აფხაზეთი საუკუნეების მანძილზე შეადგენდა საქართველოს პოლიტიკური სხეულის ნაწილს, იქ ღვთისმსახურება სრულდებოდა ქართულ ენაზე და დამწერლობაც ქართული იყო თვით აფხაზთა სურვილისამებრ, მაგრამ ხომ უეჭველი ფაქტია, რომ აფხაზური ენა ქართული ენის კილო არ არის, არამედ დამოუკიდებელი ენაა, თუმცა ქართული ენის მონათესავე. როგორც დამოუკიდებელ ენას, მას უდავოდ აქვს უფლება თავის ღვთისმსახურებაზე, თავის დამწერლობაზე, თავის ხალხურ ლიტერატურაზე“ (3.134).

მშობლიურ ენაზე დედა-ენის შექმნის აუცილებლობაზე წერდა ილია ჭავჭავაძე (იხ., სტატია „ბ-ნ იანოვსკის წერილის გამო“). „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ მზადყოფნა აფხაზური წიგნების დაბეჭდვის საქმეში თავისთავად მიუთითებს ილია ჭავჭავაძის დადებით პოზიციასზეც.

მნიშვნელოვანია აკაკი წერეთლის დამოკიდებულება აფხაზური ენისა და ფოლკლორის მიმართ. „აკაკის კრებულში“ ქართულთან ერთად დიდი ადგილი ეთმობოდა აფხაზური ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებთა პუბლიკაციას. აფხაზეთიდან «აკაკის კრებულის» მუდმივი თანამშრომელი იყო ცნობილი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი და ეთნოგრაფი, ქართული და აფხაზური ენების ბრწყინვალე მცოდნე ნ. ჯანაშია, რომელიც არაერთხელ შეხებია აფხაზური დამწერლობის თემას. 1909 წელს „დროებაში“ წერდა, რომ ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორც არის დამწერლობის შექმნა

აფხაზურ ენაზე რუსებმა შუღლისა და მტრობის დასათესად გამოიყენეს. ამ მიზნით იმ კომისიაში, რომელიც აფხაზურ ენაზე თარგმნიდა საღმრთო წერილს არ მიიწვიეს არც ერთი ისეთი პირი, რომელსაც ქართველებისადმი მიდრეკილება შესწამეს. ნ. ჯანაშია ხაზს უსვამს, რომ კომისიამ არ გამოიყენა ის ქართველები, რომლებიც ამ შემთხვევაში დაუფასებელ სამსახურს გაუწევდნენ აფხაზთ. მათ შორის დასახელდა პეტრე ჭარაიაც, „რომელმაც ზედმიწევნით იცის აფხაზური ენა და თან ლინგვისტური მომზადებაც აქვს, გარნა სამწუხაროდ სათოფეზედაც არ გაიკარეს იგი, აქაო და ქართველიაო. უშლის ქართველობა ამაში რასმეს? რა თქმა უნდა არა, ქართველებს თავის ზურგზე ძალიან კარგად გამოუცდიათ, თუ რა არის ეროვნული დევნა, და ეს მწარე გამოცდილება თავმდება იმისა, რომ თვითონ არ იკისრებს ჯალათის როლს, მერე ჯალათის არა ერთი ადამიანისა, არამედ მთელი ხალხისა და რამდენადაც საქმესთან გაცნობილი ვარ, ჯერ არც ერთს ქართველს არ უთქვამს: „აფხაზო, ნუ გინდათ საკუთარი მწერლობა, ჩვენი იკმარეთო“ (2.672-673).

ქართველი ერი ყველა ეპოქაში სცემდა პატივს სხვათა კულტურას, ზოგადად, ამა თუ იმ ერის მთავარ ღირებულებებს. XIX საუკუნის სასულიერო თუ საერო მოღვაწეთა დამოკიდებულება აფხაზური ენისადმი ჩვენი ხალხის ისტორიული აზროვნების გაგრძელებად შეიძლება ჩაითვალოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართველთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ქართული ენა და მისი გადარჩენა-შენარჩუნების საკითხია, არცერთ პროგრესულად მოაზროვნე ქართველს არასოდეს არ უარუყვია აფხაზური ენის მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამახარია ჯემალ, წმინდა მღვდელმთავარი ალექსანდრე და აფხაზეთი, თბ., 2006;
2. გამახარია ჯემალ, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005;
3. გოგებაშვილი იაკობ, რჩეული თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, თბ., 1990;
4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორთა საბჭოს ოქმები 1917-1926, თბ., 2006;
5. გამახარია ჯემალ, წმინდა მღვდელმთავარი გაბრიელი და აფხაზეთი, თბ., 2007;
6. ქავთარაძე ივანე, იაკობ გოგებაშვილი და ქართული ენა, თბ., 1956;
7. გამახარია ჯემალ, წმინდა აღმსარებელი ამბროსი და აფხაზეთი, თბ., 2006;
8. გამახარია ჯემალ, წმინდა მღვდელმოწამე კირიონ II და აფხაზეთი, თბ., 2006.